სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

69096078377819

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190245131

რეგისტრაციის თარიღი

06.03.2019 წ

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
ტელეფონი: 595 07 52 44

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას **ცხრამეტი წლის ექვს მარტს** მე, ნოტარიუსს საქართველოში ზაალი ზაქარაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 47-ში, მომმართა **ნიკოლოზ ხელთუფლიშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ ის არის შპს „ფორმა“-ს (ს/ნ 402013664) დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნიკოლოზ ხელთუფლიშვილმა** (დაბადებულმა 03.05.1981 წელს, დაბადების ადგილი – თბილისი, პირადი **N** 01003007835, მცხოვრები **საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 46, ბინა 41**-ში), მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ვრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „შპს ფორმა“ (ს/ნ 402013664) დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17117226, 20/10/2017 16:05:22.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ნიკოლოზ ხელთუფლიშვილი (ს/ნ 35001018932) როგორც** „შპს ფორმა“ (ს/ნ 402013664) დირექტორი ამ მინდობილობით **გიორგი ხმალაძეს** (დაბადებული 15.04.1982 წელს, პირადი **N** 35001018932) ვანიჭებ უფლებამოსილებას:

1. იყოს შპს „ფორმა“-ს (ს/ნ 402013664) მინდობილი პირი და დაიცვას შპს „ფორმა“-ს (ს/ნ 402013664) ინტერესები თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, საკრებულოში, არქიტექტურის სამსახურში, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, საკრებულოში, მუნიციპალურ ორგანოებში, საგზაო დეპარტამენტში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, შეიტანოს/მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის განცხადება/ცნობა/ინფორმაცია, ატვირთოს შპს „ფორმა“ (ს/ნ 402013664) ნებისმიერი სახის ცნობა/ინფორმაცია/დოკუმენტაცია tas.ge-ზე ნებისმიერი იუზერით, მათ შორის შეიტანოს განცხადება მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს პროექტი შესაბამის სამსახურებთან, მიიღოს პროექტი და მშენებლობის ნებართვა, შეიტანოს დამატებითი განცხადებები პროექტის ცვლილებასთან (ნებისმიერი სახის ცვლილებასთან) დაკავშირებით, აწარმოოს შესაბამისი მოქმედებები და მიიღოს შესაბამისი ნებართვები, წარადგინოს კომპანიის სახელით განცხადებები, მიიღოს ყოველგვარი დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ დკუმენტაციას და შეასრულოს ყველა მოქმედება ზემოაღნიშNული დავალების შესასრულებლად.
2. მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია ორიათას ოცდაორი წლის ექვსი მარტის ჩათვლით.
3. მინდობილობა დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგნ ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია საზღაური ათი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა და დღგ ერთი ლარი და ორი ლარი თანახმად 39 მუხლისა დღგ-ს ჩათვლით. სულ გადახდილია საზღაური თორმეტი ლარი.

ნიკოლოზ ხელთუფლიშვილი _____

ნოტარიუსი: ზაალი ზაქარაშვილი